სამშვიდობო პოლიტიკა და კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებების დაცვა

პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამებში

საქართველოს პარლამენტის არჩევნები 2024

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

2024

კონფლიქტების დარეგულირების და სამშვიდობო პოლიტიკის მიმართულებით სოციალური სამართლიანობის ცენტრმა შეისწავლა სახელისუფლებო და 5 ოპოზიციური გაერთიანების/პარტიის წინასაარჩევნო პროგრამა.

- ქართული ოცნება;
- ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის („ნაციონალური მოძრაობა“, „სტრატეგია აღმაშენებელი“, „ევროპული საქართველო“);
- კოალიცია ცვლილებისთვის („დროა“, „გირჩი – მეტი თავისუფლება“, „ახალი“, „აქტივისტები მომავლისთვის“ – ოქტაი ქაზუმოვი, „რესპუბლიკური პარტია“ – ხათუნა სამნიძე);
- ძლიერი საქართველო („ლელო“, „ხალხისთვის“, „მოქალაქეები“, „თავისუფლების მოედანი“);
- გახარია საქართველოსთვის;
- გირჩი.

შეფასებისას სოციალური სამართლიანობის ცენტრმა გაანალიზა, თუ როგორია 2024 წელს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე ძირითადი პოლიტიკური პარტიებისა და გაერთიანებების ხედვები და გეგმები დეოკუპაციის, სამშვიდობო პოლიტიკის წარმოების და კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებების დაცვის მიმართულებით.

ამ მიმართულებით შესწავლილი პოლიტიკური გაერთიანებებიდან მხოლოდ სამს აქვს წარმოდგენილი კონკრეტული ხედვა და გეგმა, დანარჩენი პოლიტიკური პარტიები და გაერთიანებები ან მეტწილად გამოტოვებენ ამ საკითხს (ქართული ოცნება), ან მათი ხედვები ცალკეული ინტერვიუებში გამოთქმული და ამდენად ფრაგმენტულია (ნაციონალური მოძრაობა, კოალიცია ცვლილებებისთვის).

- **კონტექსტის ანალიზი**

საქართველოს სახელმწიფოს კონფლიქტებთან დაკავშირებული პოლიტიკის პარადიგმა 2008 წლის ომის შემდეგ შექმნილმა პოლიტიკურმა კონტექსტმა და იმ დროს მიღწეულმა პოლიტიკურმა შეთანხმებებმა განსაზღვრა. კონფლიქტებთან დაკავშირებული მიდგომები ასახულია როგორც ადგილობრივ (2010 წლის „სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირეული ტერიტორიების მიმართ – ჩართულობა თანამშრომლობის გზით“), ისე საერთაშორისო (ევროკავშირის 2009 წლის სტრატეგიის დოკუმენტი არაღიარებისა და ჩართულობის პოლიტიკის შესახებ (NREP)) პოლიტიკის დოკუმენტებში. აღნიშნული დოკუმენტები, ერთი მხრივ, გამოხატავენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემას და მის მზადყოფნას მხოლოდ მშვიდობიანი და დიპლომატიური გზებით დაარეგულიროს კონფლიქტები, მეორე მხრივ კი, ადგენენ დე ფაქტო სახელმწიფოების არაღიარების პოლიტიკას და უშვებენ კონფლიქტის რეგიონებისთვის ჰუმანიტარული მხარდაჭერის გარკვეულ შესაძლებლობებს. ამ პოლიტიკის მიზანი კონფლიქტის რეგიონებისთვის მხარდაჭერისა და განვითარების შესაძლებლობების მიცემა და ამ გზით სამშვიდობო პროცესში კონსტრუქციული დინამიკის შეტანა იყო. ევროკავშირის რწმენით, ეს მიდგომა გაზრდიდა მის გავლენას ამ რეგიონებზე და შექმნიდა ახალ პოლიტიკურ ალტერნატივებს ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რომლებიც ევროპისკენ იქნებოდნენ მიმართულნი.

ძირითადი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც საქართველოს კონფლიქტების კონტექსტში მშვიდობისმყოფელის მისიას ასრულებს, ევროკავშირია. ის, გარდა იმისა, რომ ინსტიტუციურად არის საქართველოში წარმოდგენილი 1. სამხრეთ კავკასიისა და საქართველოში კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის ოფისითა (EUSR) და 2. ევროკავშირის მონიტორინგის მისიით (EUMM), ასევე არის ჟენევის

საერთაშორისო დისკუსიების (GID) სამი თანათავმჯდომარიდან ერთ-ერთი (3). დღეს სწორედ ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებია ერთადერთი პლატფორმა, სადაც კონფლიქტის ყველა მხარე ხვდება ერთმანეთს გადაუჭრელი საკითხების განსახილველად. ამ პლატფორმის მიზანი 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების შესრულების ხელშეწყობაა და ის არ არის ორიენტირებული ნდობისა და დიალოგის მშენებლობაზე.

ევროკავშირის ხედვით, სწორედ აფხაზეთი უნდა გამხდარიყო „არაღიარებისა და ჩართულობის პოლიტიკის“ ეფექტიანობის ნიმუში, რომელიც მას სხვა ევრაზიული დე ფაქტო სახელმწიფოების მიმართ იმავე მიდგომების გამოყენების შესაძლებლობებს მისცემდა. თუმცა პრაქტიკაში ამ პოლიტიკის ჩართულობის კომპონენტი არასაკმარისად ეფექტიანი აღმოჩნდა. შედეგად, ევროკავშირის პოზიტიური აღქმა აფხაზეთში დღესდღეობით შედარებით დაბალია.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2008 წლის შემდეგ კონფლიქტების მიმართულებით ქვეყნის პოლიტიკა მეტწილად კონფლიქტების გეოპოლიტიკურ განზომილებაზეა ორიენტირებული და ნაკლებად ცნობს მის შიდა პოლიტიკურ განზომილებას და კონფლიქტების ტრანსფორმაციის პოლიტიკურ მნიშვნელობას. ამაზე მეტყველებს ამ მიმართულებით არსებული ინსტიტუციური ინფრასტრუქტურაც. 16 წელზე მეტია, არ არსებობს მშვიდობის მშენებლობის პოლიტიკური პროცესი. დე ფაქტო ხელისუფლებებთან თბილისს არ აქვს პირდაპირი პოლიტიკური დიალოგის ფორმატი, რომელიც თუნდაც ისეთ სტატუსნეიტრალურ საკითხებზე იმუშავებდა, როგორიცაა ადამინური უსაფრთხოება, ადამიანის უფლებების დაცვა და კეთილდღეობა.

მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლის შემდეგ მშვიდობიანი გზებით კონფლიქტების მოგვარების დისკურსი კიდევ უფრო გაძლიერდა და სახელმწიფომ კიდევ უფრო გააძლიერა კონფლიქტის რეგიონებში მცხოვრები ადამიანების მხარდაჭერისა და ჩართულობის ინსტრუმენტები, ეს ძალისხმევა მაინც სუსტი და ფრაგმენტულია, სახელმწიფოს ოფიციალური პოლიტიკა კონფლიქტის რეგიონების მიმართ კი, დისკურსულად იგივე დარჩა. 2008 წლის შემდეგ შექმნილი სტატუს-კვო სამხრეთ ოსური, ისევე როგორც აფხაზური საზოგადოებებისა და ელიტებისთვის მეტწილად მისაღები იყო, რუსეთის მხრიდან მიღებული სამხედრო და უსაფრთხოების გარანტიებისა და ოფიციალური „აღიარების“ ფონზე.

თუმცა, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ყარაბაღის მეორე ომისა და განსაკუთრებით, უკრაინაში სრულმასშტაბიანი ომის დაწყების შემდეგ, აშკარა გახდა, რომ კონფლიქტების მიმართულებით არსებული პარადიგმა ვეღარ პასუხობს რეგიონში შექმნილ ახალ პოლიტიკურ კონტექსტებს და მათ შორის, აფხაზურ საზოგადოებაში გაჩენილ შიშებს, რომელიც რუსეთის მხრიდან მომდინარე დაჩქარებულ ანექსიასა და ადგილობრივი საზოგადოების წინააღმდეგობის ფონზე დასჯის პოლიტიკას უკავშირდება. უკრაინაში სრულმასშტაბიანი ომის დაწყებისა და გლობალური ეკონომიკური სანქცირების შემდეგ, რუსეთის ინტერესმა, შეინარჩუნოს შავ ზღვაზე სამხედრო კონტროლი და აითვისოს პერიფერიული ბაზრები, რესურსები და დერეფნები, აგრესიული ფორმა მიიღო. აფხაზებისთვის რთულდება კონსერვატიული პოლიტიკით მათი ეკონომიკური სისტემის და რესურსების დაცვა. შესაბამისად, აფხაზეთში ეს პროცესი სულ უფრო იღებს წინააღმდეგობისა და საზოგადოებრივი პროტესტის მზარდ ფორმებს. თბილისს პრაქტიკილად არ აქვს ხედვა, როგორ შეიძლება ამ შეცვლილ რეალობას უპასუხოს.

უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში, კონფლიქტის რეგიონებთან პოლიტიკას პოზიტიური დინამიკა არ ჰქონია. განსაკუთრებით 2008 წლის ომის შემდეგ, კიდევ უფრო

გაღრმავდა ამ რეგიონებთან გაუცხოება, როგორც პოლიტიკურ, ისე ხალხთაშორის დონეზე. ამის მიუხედავად, წლების განმავლობაში არსებობდა 'რადიკალური იმედის' აფექტური პოლიტიკა, რომელსაც სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფები აწარმოებდნენ ამ რეგიონების რეინტეგრაციის თაობაზე. 2008 წლის შემდეგ ეს პოლიტიკური სენტიმენტებიც გაქრა. ბოლო წლებში პოლიტიკური ჯგუფები პრაქტიკულად საერთოდ აღარ საუბრობენ კონფლიქტების თემაზე. კონფლიქტების მიმართულებით ახალი ალტერნატივების შექმნის ტვირთს კი საკუთარ თავზე არცერთი პოლიტიკური ჯგუფი არ იღებს.

ამ კონტექსტში აშკარაა, რომ ქართული ოცნების ხელისუფლებამ დაიწყო მშვიდობის იდეის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზება და წინასაარჩევნოდ საუბარი ტერიტორიული მთლიანობის შესაძლო აღდგენის იდეებზე. თუმცა, მათი და მათ პასუხად რუსეთის ხელისუფლების ოფიციალური პირებისა და დე ფაქტო ხელისუფლებების წარმომადგენლების განცხადებების მონიტორინგი, ისევე როგორც ხელისუფლების პროგრამული ხედვების შეფასება აჩვენებს, რომ ეს განცხადება უფრო პოპულისტურია და მათ უკან არ დგას რეალური პროცესები და იდეები.

- **ქართული ოცნება**

„ქართული ოცნების" წინასაარჩევნო პროგრამის პრეზენტაციამ[1], რომელიც საათზე მეტხანს გაგრძელდა, სრულად გამოტოვა სამშვიდობო პოლიტიკასა და კონფლიქტების დარეგულირებასთან დაკავშირებული საკითხები. ისევე, როგორც 2020 წლის წინასაარჩევნო პროგრამაში, „ქართული ოცნება" კვლავ არ წარმოადგენს მკაფიო ხედვებსა და სამოქმედო გეგმას, რომელიც სამშვიდობო პოლიტიკაში ახალ დინამიკას შემოიტანს და კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებების დაცვის მიმართულებით პროგრესს უზრუნველყოფს.

პროგრამაში სამშვიდობო პოლიტიკის გამოტოვება შესაძლოა ხელისუფლებამ იმით ახსნას, რომ ის აპირებს გააგრძელოს ჩართულობის სტრატეგიის არსებული გეგმის განხორციელება, რომელსაც ის წარმატებულად მიიჩნევს. აღსანიშნავია, რომ ჩართულობის 2010 წლის სტრატეგია და მის საფუძველზე მიღებული სამშვიდობო პოლიტიკის ინიციატივები ვეღარ პასუხობს დღევანდელ გამოწვევებსა და რეალობას. აღნიშნული სტრატეგია მოძველებულია და არ ითვალისწინებს რეგიონში შექმნილ ახალ პოლიტიკურ კრიზისებს (ყარაბაღის მეორე ომი, უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი ომი, სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გავლენების შესუსტება, მოლდოვის, უკრაინისა და საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების ახალი შესაძლებლობები და ა.შ.), რომელმაც შეცვალა უსაფრთხოების სტატუს-კვო და ახალი შესაძლებლობებიც შექმნა ძირითადი აქტორებისთვის. ყოველდღიურობაში ხელისუფლება მეტწილად ხელმძღვანელობს „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ" ინიციატივით, რომელიც, მიუხედავად მისი სიმბოლური ღირებულებისა, არ წარმოადგენს ყოვლისმომცველ ხედვას დეოკუპაციისა და სამშვიდობო პოლიტიკის რეალური პროგრესის მისაღწევად.

აღსანიშნავია, რომ ხელისუფლება სამი წლის წინ დაიწყო მუშაობა ახალ სტრატეგიაზე დეოკუპაციისა და სამშვიდობო პოლიტიკის შესახებ, თუმცა საზოგადოებას ამ პროცესის შესახებ ინფორმაცია დღემდე არ მიუღია. ხელისუფლების განმარტებით, უკრაინაში მიმდინარე ომის დასრულებამდე ისინი არ გეგმავენ აღნიშნული დოკუმენტის მიღებას, რადგან არსებული კრიზისის ფონზე მომავლის პროგნოზირება რთულია. ეს მიდგომა მიუღებელია, რადგან სწორედ რეგიონულმა კრიზისებმა, მათ შორის უკრაინის ომმა,

[1] „ქართული ოცნების" საარჩევნო პროგრამის პრეზენტაცია. პირველი არხი. 7 ოქტომბერი, 2024. ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/video/qartuli-ocnebis-saarchevno-programis-prezentacia-4/

ახალი შესაძლებლობები გააჩინა საქართველოსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნებისათვის ევროკავშირში გაწევრიანების კონტექსტში, რაც თვისებრივად ახალი ტიპის და ძალიან გავლენიანი ბერკეტი შეიძლება გახდეს კონფლიქტით გაყოფილი საზოგადოებებისთვის ახალი გარანტიებისა და ალტერნატივების შეთავაზებისა და დიალოგის პროცესის დაწყების კუთხით.

კრიტიკულია ისიც, რომ ხელისუფლება ისე საუბრობს სამშვიდობო პოლიტიკაზე და ისე ქმნის შესაბამისი სამოქმედო გეგმების პროექტებს, რომ მას არ აქვს კონსულტაციებისა და დიალოგის პროცესი კონფლიქტის მეორე მხარეს მყოფი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან. აფხაზეთში შექმნილი პოლიტიკური კრიზისის გათვალისწინებით, როცა რუსეთი რეგიონში ცდილობს ეკონომიკური და სტრატეგიული რესურსების აპროპრიაციას, „ქართული ოცნება" არ წარმოადგენს ალტერნატიულ ხედვას, რომელიც მოიცავდა როგორც ამ რეგიონში მიმდინარე პროცესების შეკავებას, ისე ევროკავშირის ფარგლებში კონფლიქტის რეგიონში მცხოვრები საზოგადოებებისთვის საერთაშორისო გადაადგილების, განათლების, ინტერნეტის, ელექტროენერგიის, საბანკო სერვისების ახალი გზების დანახვას.

მეტიც, ხელისუფლება სამშვიდობო პოლიტიკის იდეას წინასაარჩევნო კამპანიის ინსტრუმენტალიზაციისთვის იყენებს, რაც მშვიდობის იდეის დევალვაციას იწვევს და ამცირებს საზოგადოების ნდობას. იმ პირობებში, როდესაც ხელისუფლება ბევრს საუბრობს მდგრად მშვიდობაზე და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის აბსტრაქტულ შესაძლებლობებზე, ირონიულია, რომ მას არ აქვს ახალი სამშვიდობო პოლიტიკის ჩარჩო, მიზნები და ინსტრუმენტები, რაც კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ ეს განცხადებები უფრო პოპულისტურია და მის უკან რეალური პროცესები არ დგას.

- **ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა**

რაც შეეხება „ერთიანობა-ნაციონალურ მოძრაობას", კოალიციას ჯერჯერობით ისევ არ აქვს გამოქვეყნებული წინასაარჩევნო პროგრამა და მათ ხუთპუნქტიან წინასაარჩევნო პრიორიტეტებში არ არის ასახული სამშვიდობო პოლიტიკის საკითხები[2]. თუმცა, კოალიციის ერთ-ერთი ლიდერის ინტერვიუს საფუძველზე[3], შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ერთიანობა" კონფლიქტების მოგვარებისა და სამშვიდობო პოლიტიკის მთავარ ჩარჩოს ხედავს ევროკავშირში.

გიორგი ვაშაძის მოსაზრებით, ევროპული პასპორტი იქნება იმის გარანტი, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებლებს ექნებათ შესაძლებლობა მიიღონ ის პირობები, რასაც ქართულ-ევროპული პასპორტი მათ შესთავაზებს, მათ შორის, ხარისხიანი განათლების, გადაადგილების, დასაქმებისა და განვითარების მიმართულებით. ამის ალტერნატივად აფხაზებსა და ოსებს აქვთ იზოლაციური რუსული პასპორტი, რაც ამ შესაძლებლობებს არ ქმნის. გარდა ამისა, კოალიცია „ერთიანობა" მიიჩნევს, რომ დევნილების ყოფა კონტროლირებად ტერიტორიაზე უნდა იყოს სამაგალითო ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანებისთვის, მათი პენსია უნდა გახდეს 300 ლარი და გაუმჯობესდეს მათი სოციალურ-ეკონომიკური პირობები.

---

[2] ერთიანობის ხუთი პრიორიტეტი. ხელმისაწვდომია: https://cdn2.ipn.ge/media/documents/nacebi_programa_compressed.pdf

[3] ევრონიუსი: ტერიტორიული მთლიანობა და დევნილების ბედი - რას გეგმავენ პოლიტიკური ლიდერები. ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/euronewsgeorgia/videos/556240190267775/?rdid=VRRUPho8aJsBfyzd

- **კოალიცია ცვლილებებისთვის**

კოალიცია „ცვლილებებისთვის" ერთ-ერთი ლიდერის მოსაზრებით[4], დრო არ მუშაობს ქართული მხარის სასარგებლოდ და ნაბიჯების გადადგმა აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობების აღდგენის მიზნით არის დროულად დასაწყები. წინააღმდეგ შემთხვევაში, რაც დრო გადის, არც ერთი მხარე და მომავალი თაობები აღარ იქნებიან მოტივირებულები ამ საკითხის გადაწყვეტით, რაც შეზღუდავს ამ თემას მხოლოდ იურიდიულ-საერთაშორისო სამართლებრივ ჩარჩოში.

ნიკა გვარამიას მოსაზრებით, თავისუფალი ვაჭრობა და თავისუფალი მიმოსვლა არის ის ორი მიმართულება, რომელზეც უნდა იმუშაოს ხელისუფლებამ ხალხებს შორის ურთიერთობებისა და თანამშრომლობის აღდგენის მიზნით. ის ამ საკითხების მოგვარების ერთადერთ ჩარჩოდ ევროკავშირს ხედავს. მისი მოსაზრებით, თუკი საქართველო გახდება ევროკავშირის წევრი, ეს აფხაზ და ოს მოსახლეობაში გამოიწვევს მეტ ინტერესს საქართველოსთან თანამშრომლობის თვალსაზრისით. გვარამია ამ შემთხვევაში ასახელებს კვიპროსის თურქული ნაწილის მაგალითს, სადაც მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ (83%) ხმა მისცა გაერთიანებული კვიპროსის ევროკავშირში გაწევრიანებას.

გარდა ამისა, კოალიცია „ცვლილებებისთვის" ფიქრობს, რომ სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავება შესაძლებლობებს შექმნის კონფლიქტით დაშორებული ხალხისთვის, რომ ნდობა აღადგინონ. ნიკა გვარამია მაგალითად მოჰყავს ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი, რომელიც არ იქნება საბოლოოდ საკმარისი ტვირთბრუნვისთვის და თუ იგივე პორტი გაკეთდება ოჩამჩირეშიც, ეს იქნება კარგი შესაძლებლობა აფხაზებსა და ქართველებს შორის ურთიერთობების აღსადგენად. მისი მოსაზრებით, ამ ურთიერთობების აღდგენა ერთ დეკადაში არის შესაძლებელი.

- **კოალიცია ძლიერი საქართველო**

კოალიცია „ძლიერი საქართველო", რომელიც აერთიანებს პარტიებს „ლელო", „მოქალაქეები", „ხალხისთვის" და „თავისუფლების მოედანი", თავის საარჩევნო პროგრამაში „ილიას გზა"[5] წარადგინა მშვიდობის მშენებლობისა და დეოკუპაციის პოლიტიკის რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება.

კოალიცია აპირებს დროულად შეიმუშაოს დეოკუპაციისა და კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების საერთო ეროვნული გეგმა, რომელიც საერთო პოლიტიკურ კონსენსუსს დაეფუძნება და ექნება მემკვიდრეობითი ხასიათი. კოალიცია ასევე აპირებს გააგრძელოს არაღიარების პოლიტიკის მხარდაჭერა.

ამის პარალელურად, კოალიცია „ძლიერი საქართველოს" წინასაარჩევნო პროგრამა კონფლიქტით დაზარალებული სხვადასხვა ჯგუფის სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებსაც ითვალისწინებს, მათ შორის არის ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის განათლებისა და დასაქმების ალტერნატივების შექმნა. ამის ჩარჩოს, სხვა ოპოზიციური პარტიების მსგავსად, ეს კოალიციაც ევროკავშირის ფარგლებში ხედავს.

გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გასაუმჯობესებლად კოალიცია გეგმავს გამყოფ ხაზთან თავისუფალი ეკონომიკური და

---

[4] ევრონიუსი: ტერიტორიული მთლიანობა და დევნილების ბედი - რას გეგმავენ პოლიტიკური ლიდერები. ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/euronewsgeorgia/videos/556240190267775/?rdid=VRRUPho8aJsBfyzd

[5] "ძლიერი საქართველოს" საარჩევნო გეგმა ხელმისაწვდომია: https://dzlieri9.ge/wp-content/uploads/2024/09/didi-ilias-gza-akhaliii-v2.0.pdf

სავაჭრო ზონების შექმნასა და მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას. ასევე, აქ მცხოვრები მოსახლეობისთვის, კოალიციის აზრით, საჭიროა შეიქმნას მათი უსაფრთხოების მექანიზმები, მათ შორის სათვალთვალო სისტემების დამონტაჟებით. გარდა ამისა, კოალიციას საჭიროდ მიაჩნია „ჟენევის ფორმატის" პარალელურად აფხაზებთან და ოსებთან თემატური დიალოგის პლატფორმების შექმნა.

- **გახარია საქართველოსთვის**

პარტია „გახარია საქართველოსთვის“ 2024 წლის არჩევნებისთვის სამშვიდობო პოლიტიკის მიმართულებით კომპლექსურ სამოქმედო გეგმასა და პოლიტიკას წარმოადგენს[6]. სხვა ოპოზიციური პარტიების მსგავსად, პარტია დეოკუპაციისა და სამშვიდობო პოლიტიკის განხორციელებას ევროკავშირის ჩარჩოში და დასავლეთთან მჭიდრო თანამშრომლობით ხედავს. „გახარია საქართველოსთვის“ პარტია, „ძლიერი საქართველოს“ კოალიციის მსგავსად, მიიჩნევს, რომ აუცილებელია ეროვნული კონსენსუსზე დაფუძნებული ხედვისა და სტრატეგიის შემუშავება ქვეყნის დეოკუპაციისა და გამთლიანებისთვის, და მათი აზრით, ეს სტრატეგია არჩევნებიდან ერთ წელიწადში უნდა იყოს მზად.

გარდა ამისა, პარტიის წინასაარჩევნო პროგრამაში მოცემულია მთელი რიგი აქტივობები, რომლებიც მიზნად ისახავს კონფლიქტით დაზარალებული სხვადასხვა ჯგუფის უფლებრივი და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. კერძოდ, გათვალისწინებულია შემდეგი საკითხები: საოკუპაციო ხაზთან უსაფრთხოების მექანიზმების გაძლიერება და ადრეული გაფრთხილების სისტემის დანერგვა; საოკუპაციო ხაზთან მყოფი 116 სოფლისთვის სპეციალური განვითარების კანონის შემუშავება, რომელიც ამ ადგილებში მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებებს დააკმაყოფილებს.

კონფლიქტის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, პარტია გეგმავს საქართველოს მოქალაქეობაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას და დადგენილი პროცედურების გამარტივებას. ასევე, გადადგილების თავისუფლების ხელშეწყობის მიზნით, იგეგმება ნეიტრალური დოკუმენტების გამოყენების არეალის გაფართოება და აფხაზური და ოსური სანომრე ნიშნიანი მანქანების თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობის შექმნა. ტვირთისა და გადაადგილების რეგულაციების ლიბერალიზაცია ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზებთან ასევე გათვალისწინებულია.

უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობების გაფართოება დასავლელ პარტნიორებთან თანამშრომლობით არის კიდევ ერთი პრიორიტეტი, ისევე როგორც აფხაზური, ოსური და ქართული იდენტობების დაცვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე. პარტია ასევე გეგმავს ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის სერვისების გაძლიერებას, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას.

- **გირჩი**

პოლიტიკური პარტია „გირჩი“ კონფლიქტების მოგვარებისა და სამშვიდობო პოლიტიკის საკითხს აფხაზეთის დაბრუნების კონტექსტში განიხილავს და მიიჩნევს, რომ ოკუპაციის დასრულება შესაძლებელია დასავლეთთან, განსაკუთრებით აშშ-სა და ევროკავშირთან, მჭიდრო თანამშრომლობის მეშვეობით. პარტიის ხედვით, ძლიერი ჯარი წარმოადგენს

---

[6] სრული საარჩევნო პროგრამა ხელმისაწვდომია აქ:
https://forgeo.ge/upload/documents/1bcc99a3ffcea4101554651c4bcc416a.pdf

სტაბილურობისა და მშვიდობიანი მოლაპარაკებების პროცესში მნიშვნელოვანი ძალისხმევის უზრუნველყოფის ერთ-ერთ გარანტს. ამასთან, „გირჩი“ გამორიცხავს კონფლიქტების ძალადობრივი მეთოდებით გადაჭრის შესაძლებლობას.

„გირჩი“ ხაზს უსვამს, რომ საქართველოს შიდა ეკონომიკური და პოლიტიკური წესრიგი უნდა განვითარდეს ისე, რომ იგი მიმზიდველი იყოს აფხაზეთის საზოგადოებისთვის. აღნიშნულ მიზნებში იგულისხმება რეფორმების გატარება ეკონომიკურ, სასამართლო და პოლიტიკური სისტემების გაუმჯობესების მიმართულებით.

გარდა ამისა, პარტიამ წარმოადგინა დევნილების აფხაზეთში დაბრუნების გეგმა, რომელიც ეფუძნება სვანურ სამართლის პრინციპებს. ამ გეგმის მიხედვით, „ქართველი მიუთითებს, რომელი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება იქნება მისთვის მისაღები საკუთარი სახლის სანაცვლოდ, ხოლო აფხაზი გადაწყვეტს, დარჩეს იმ სახლში, სადაც ამჟამად ცხოვრობს, თუ მიიღოს ის ქონება, რომელიც ქართველმა მოითხოვა. როგორც უნდა დასრულდეს ეს არჩევანი, ორივე მხარე გარანტირებულად კმაყოფილი დარჩება."[7]

- **სოციალური სამართლიანობის ცენტრის ცვლილების თეორია სამშვიდობო პოლიტიკასთან დაკავშირებით**

სამშვიდობო პოლიტიკასთან დაკავშირებით სოციალური სამართლიანობის ცენტრის ცვლილების თეორია რამდენიმე მნიშვნელოვან დაშვებას ეფუძნება, რომელიც ასევე გავუზიარეთ პოლიტიკურ პარტიებს, პროგრამების შემუშავებამდე.

რადიკალური პესიმიზმი რადიკალური ოპტიმიზმის საპირისპიროდ - ქვეყნის კონფლიქტებთან დაკავშირებული პოლიტიკა უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში არ ავლენს პოზიტიურ დინამიკას. ამის საპირისპიროდ, იზრდება პოლიტიკური კრიზისი, გაუცხოება და მასთან დაკავშირებული ადამიანური, სოციალური და პოლიტიკური დანაკარგები. აშკარაა, რომ ხალხთაშორისი გაუცხოება და იზოლაცია ართულებს კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირების შანსებს. ეს მდგომარეობა ადგილობრივ საზოგადოებებსა და პოლიტიკურ ელიტებს ახალი, ინოვაციური პოლიტიკური ალტერნატივებისა და კომპრომისების ძიებისკენ უნდა უბიძგებდეს. არსებითია, რომ ამ მიდგომამ თანადროულად უპასუხოს კონფლიქტების და ომის გეოპოლიტიკურ, რუსულ-ქართულ და ეთნოპოლიტიკურ განზომილებებს და გააწონასწოროს არსებული ასიმეტრია.

მყიფე რეალობა და ახლად წარმოქმნილი შიშები აფხაზურ საზოგადოებაში - უკრაინაში ფართომასშტაბიანი ომის დაწყების შემდეგ, კონფლიქტის რეგიონებში დაჩქარდა რუსეთის ანექსიური სამხედრო და ეკონომიკური პოლიტიკა. შავ ზღვაზე სტრატეგიული კონტროლის გაძლიერების მიზნით, რუსეთი ინიცირებს სამხედრო ინფრასტრუქტურის განვითარებას ოჩამჩირეში, რაც პოტენციურად ზრდის აფხაზეთის ტერიტორიაზე სამხედრო ესკალაციის რისკებს. პარალელურად, საერთაშორისო ეკონომიკური სანქციების ფონზე, რუსეთი ავლენს მზარდ ინტერესს პერიფერიული ბაზრების, ობიექტებისა და რესურსების ათვისების მიმართ. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, რუსეთი აქტიურად ლობირებს აფხაზურ პოლიტიკურ ელიტებთან იმ ადგილობრივი პროტექციონისტული საკანონმდებლო ნორმების გაუქმებას, რომლებიც არეგულირებს და ზღუდავს სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების, უძრავი ქონებისა და ბუნებრივი რესურსების გასხვისებას. ეს პროცესები აფხაზურ საზოგადოებაში მომავლის შიშებსა და

[7] გირჩის პროგრამა აფხაზეთის დაბრუნების მიმართულებით: https://girchi.com/articles/girchis-programa?fbclid=IwY2xjawF0vu5leHRuA2FlbQIxMAABHbafXmE8nEF1PPiXMADEPPiUA9xkFptvJUbePRYtpKvuPJzHekW8r7zIMA_aem_7zqz0Lr1Li_GqBjnegdeQg

წუხილებს წარმოქმნის. აფხაზური საზოგადოება ცდილობს ამ პროცესის შეჩერებას და მასთან შეწინააღმდეგებას, თუმცა მათთვის სულ უფრო აშკარა ხდება, რომ თუ მარტოები დარჩებიან "რუსული სამყაროს" წინაშე, ამ პროცესის შეჩერება მომავალში შეუძლებელი იქნება. ამ პირობებში, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში საზოგადოებრივმა და პოლიტიკურმა გაერთიანებებმა გააცნობიერონ აფხაზურ საზოგადოებაში არსებული უკმაყოფილებები და შიშები, და იფიქრონ ახალი ალტერნატივების შეთავაზებაზე მათი უსაფრთხოების, იდენტობისა და პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებების მაღალი გარანტიებით დაცვის მიზნით.

ბრიუსელი მოსკოვის ნაცვლად - არსებითია, რომ საქართველომ გამოიყენოს ევროკავშირის გამოცდილება და რესურსები და დააჩქაროს საქართველოს ევროპეიზაციის პროცესი, როგორც ახალი ეტაპი სამშვიდობო პოლიტიკისთვის. საქართველოს ახლა აქვს შესაძლებლობა, აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებს მოსკოვის ალტერნატივად შესთავაზოს ბრიუსელი და ევროპეიზებული, დემოკრატიული და უსაფრთხო თბილისი. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებისთვის თბილისის და ბრიუსელის შეთავაზებები შეიძლება დაუკავშირდეს ადგილობრივი მოსახლეობისთვის ევროკავშირის შიგნით თავისუფალი სავიზო გადაადგილების, ასევე, ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის ევროკავშირის უნივერსიტეტებში განათლების მიღების შესაძლებლობებს.

აფხაზეთის იზოლაციის შემსუბუქება, როგორც რუსეთზე რეგიონის დამოკიდებულების შემცირების სტრატეგია - უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი ომის დაწყების შემდეგ, კიდევ უფრო აშკარა გახდა, რომ საერთაშორისო დონეზე დე ფაქტო სახელმწიფოების აღიარების რისკები უმნიშვნელოა. ამ პირობებში, მნიშვნელოვანია, საქართველომ გააცნობიეროს გაბედული ალტერნატივების შექმნის აუცილებლობა და მნიშვნელობა ამ რეგიონებისთვის, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობისთვის ახალი განათლების, განვითარებისა და სოციალური და ეკონომიკური კეთიდღეობის ალტერნატივების გაჩენას.

პოზიტიური მშვიდობა ნეგატიური მშვიდობის წინააღმდეგ - მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ გამოიყენოს მშვიდობის პოზიტიური, პროგრესული გაგება, რომელიც პირველ რიგში ადამიანების უსაფრთხოებაზე, სამართლიანობასა და უფლებების დაცვაზეა ორიენტირებული. ეს მიდგომა მიზნად ისახავს კონფლიქტით დაზარალებული ყველა ჯგუფის სასიკეთოდ მოქმედებას და ყველას, მათ შორის დევნილების, გამყოფი ხაზის სოფლების მცხოვრებლების, გალელების, ახალგორელების, აფხაზებისა და სამხრეთ ოსების წუხილების, საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებას. ნდობის აღდგენა კონფლიქტის სხვადასხვა მხარეს მყოფ ადამიანებს შორის შესაძლებელია მხოლოდ მათი საერთო საჭიროებებისა და წუხილების გათვალისწინებით. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია ადამიანური უსაფრთხოების მრავალგანზომილებიანი კონცეფციის დანერგვა როგორც პოლიტიკის, ისე სამოქმედო გეგმის დონეზე. მნიშვნელოვანია, რომ ადამიანის უფლებები გახდეს სამშვიდობო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი. ჩვენი რწმენით, განგრძობადი კონფლიქტის პირობებში პოზიტიური მშვიდობის მშენებლობა უნდა იქცეს მთავარ კონცეპტუალურ ჩარჩოდ, რომლის გარშემოც განვითარდება სამშვიდობო პოლიტიკა. ეს მიდგომა გულისხმობს კონფლიქტით დაზარალებული ყველა ჯგუფის სოციოეკონომიკური და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემების გათვალისწინებას და მათ აქტიურ ჩართვას სამშვიდობო პროცესებში.

კონფლიქტის რეგიონები, როგორც საქართველოს უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის სუსტი წერტილი - გაჭიანურებული კონფლიქტები რუსეთის ხელში საქართველოს სუვერენიტეტზე, უსაფრთხოებასა და მომავალზე გავლენის მოხდენის იარაღია. ბოლო თვეებში, პროსახელისუფლებო პლატფორმებზე აქტიურად განიხილება საკითხი, თუ პრაგმატულმა საგარეო პოლიტიკურმა კურსმა საქართველოს მხრიდან როგორ შეიძლება შესაძლებელი გახადოს კონფლიქტების მიმართულებით პოზიტიური დინამიკის გაჩენა. მნიშვნელოვანია, რომ რუსული ორბიტის ქვეშ კონფლიქტების მოგვარების ხედვებისა და მოლოდინების საპირისპიროდ, პოლიტიკურ ოპოზიციას ჰქონდეს კონფლიქტების მოგვარების ევროპული ხედვა და მოდელი, რომელიც პასუხს გასცემს როგორც უსაფრთხოებასთან, ისე ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ კითხვებს.

პირდაპირი დიალოგის მნიშვნელობა ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოებასთან და პოლიტიკურ ელიტებთან - 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, თბილისსა და სოხუმს, ისევე როგორც თბილისსა და ცხინვალს შორის, არ არსებობს პირდაპირი დიალოგის ფორმატი, რომელიც თუნდაც სტატუსნეიტრალურ უფლებრივ და სოციალურ საკითხებზე იქნებოდა ორიენტირებული. ცხადია, რომ პოლიტიკური ფორმატის და პროცესის არარსებობის პირობებში, საერთაშორისო საზოგადოების მიერ მხარდაჭერილ სამოქალაქო საზოგადოების დიალოგის ფორმატებს არ შეუძლიათ მნიშვნელოვანი შედეგების მოტანა. მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირის მხარდაჭერით საქართველომ იფიქროს ამგვარი პირდაპირი დიალოგის ფორმატების და პრაქტიკების შექმნაზე. აშკარაა, რომ ამგვარი დიალოგის ფორმატებს ექნება პირდაპირი გავლენა უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ შიშებსა და მომავალზე. მხარეებს მეტი ნდობა გაუჩნდებათ ერთმანეთის მიმართ და მომავალი უფრო განჭვრეტადი გახდება. ამ პირობებში ომის და მასთან დაკავშირებული შიშების ინსტრუმენტალიზება შემცირდება ორივე საზოგადოებისთვის.

კონფლიქტების ტრანსფორმაციის, როგორც პროცესის თავისთავადი ღირებულება - მნიშვნელოვანია, რომ სამშვიდობო პოლიტიკის ახალ ხედვებზე, პოლიტიკასა და სამოქმედო გეგმებზე მუშაობის პროცესი იყოს დემოკრატიული და მასში აქტიურად იყვნენ ჩართულნი საზოგადოებრივი ჯგუფები, პირველ რიგში კი, კონფლიქტებით დაზარალებული ჯგუფები. ომისა და მშვიდობის საკითხები კომპლექსური, ტრავმატული და ისტორიულია, რის გამოც, მნიშვნელოვანია, რომ ამ სფეროში გატარებული პოლიტიკა იყოს ტრანსფორმაციული და თანხმობის მშენებლობაზე ორიენტირებული. საზოგადოებაში ხშირად არსებობს წარმოდგენა, რომ კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობა ნაკლებად უჭერს მხარს მშვიდობას და უფრო მეტად პოლიტიკურ რევანშზეა ორიენტირებული. ეს რწმენა ხშირად სამშვიდობო პოლიტიკიდან კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის გამორიცხვის მიზეზიც ხდება, თითქოს ისინი არ არიან საკმარისად რაციონალური სუბიექტები მომავალი ცვლილებებისთვის. ჩვენი კვლევების შედეგები აჩვენებს, რომ კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობა მეტად არის დაინტერესებული მშვიდობის იდეებით, რადგან მათ უკეთ ესმით მშვიდობის ფასი და უფრო მეტი კავშირი აქვთ კონფლიქტის მეორე მხარეს მცხოვრებ საზოგადოებასთან. სწორედ ამიტომ, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ მშვიდობის ახალ პოლიტიკაზე მუშაობა დელიბერაციისა და კონსენსუსის მშენებლობის პრინციპებს ეფუძნებოდეს და თავად პროცესს მიენიჭოს ღირებულება. კონფლიქტების ტრანსფორმაციის პროცესს, შესაძლოა, ყოველთვის არ მოჰყვეს ხელშესახები შედეგები, თუმცა ის ცვლის ადამიანებს, აქტორებს, წარმოდგენებს და სამომავლოდ ქმნის ახალ შესაძლებლობებს და პერსპექტივებს.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით:

- აუცილებელია, რომ შეიქმნას ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმა, რომელიც ყურადღებას გაამახვილებს განგრძობადი კონფლიქტებით დაზარალებული ყველა ჯგუფის (დევნილები, გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობა, გალისა და ახალგორის მოსახლეობა, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოსახლეობა) უსაფრთხოების, უფლებებისა და კეთილდღეობის დაცვაზე, როგორც საზიარო/საერთო სიკეთეზე და სამშვიდობო პოლიტიკის ჰუმანისტურ და ემანსიპატორულ საფუძველზე. ეს გეგმა უნდა ეფუძნებოდეს ადგილობრივ თემებთან დემოკრატიულ კონსულტაციებს და ნერგავდეს ანგარიშვალდებულებისა და მონიტორინგის დემოკრატიულ მექანიზმებს;

- საჭიროა შემუშავდეს ახალი ხედვა სამშვიდობო პოლიტიკისთვის, რომელიც უპასუხებს ახალ გეოპოლიტიკურ და რეგიონულ კონტექსტებს და საქართველოსთვის ევროკავშირში გაწევრიანების ახალ უნიკალურ შესაძლებლობებს. მნიშვნელოვანია, ამ ხედვის მშენებლობა და კულტივირება „აქ და ახლა“ მოხდეს და არა უკრაინაში ომის დასრულებისა და ახალი რეალობის გაფორმების შემდეგ. სწორედ დაუსრულებელი ომის კონტექსტში, მნიშვნელოვანია, საქართველომ უპასუხოს აფხაზურ საზოგადოებაში აკუმულირებულ შიშებს, წუხილებს და ეგზისტენციურ ინტერესებს და აშენოს ხედვები, დისკურსი და იმედი ევროპული ტიპის მომავალთან და მშვიდობასთან დაკავშირებით. ეს მიდგომა თბილისს მისცემს შესაძლებლობას აფხაზებს აჩვენოს, რომ ის პატივს სცემს და აღიარებს მათ ინტერესებს და აგენტობას;

- ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის კვალდაკვალ, აუცილებელია კონფლიქტების ტრანსფორმაციის ახალ პარადიგმაზე, პროგრამებსა და რესურსების მობილიზაციაზე მუშაობა. ეს გაზრდის ევროკავშირის მხარდაჭერას და ჩართულობას კონფლიქტის რეგიონების განვითარებაში და კონფლიქტით დაზარალებული ყველა ჯგუფის კეთილდღეობის, უსაფრთხოების და უფლებების დაცვაში;

- მნიშვნელოვანია, სამშვიდობო პოლიტიკის პარალელურად საქრთველოს გააჩნდეს დეოკუპაციის და უფრო ფართოდ, დეანექსიის გეგმა, რომელიც მიმართული იქნება კონფლიქტის რეგიონებისა და მთლიანად ქვეყნის რუსეთზე დამოკიდებულების შემცირებაზე. პირველ რიგში, ეს მიდგომა კონფლიქტების რეგიონებისთვის გულისხმობს იზოლაციის შემსუბუქებას, საქართველოსთვის კი მედეგი ეკონომიკური, უსაფრთხოების, საინფორმაციო და სხვა სისტემების შექმნას. ამას გარდა, არსებითია საქართველომ გლობალურ დღის წესრიგში აქტიურად დააყენოს საქართველოს უსაფრთხოებისა და მშვიდობიანი გზებით კონფლიქტების რეგულირების საკითხი და დასავლეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობის გადალაგების ნებისმიერი სცენარისთვის (კონფლიქტის და იზოლაციის, ნორმალიზების, თუ რუსეთის მკვეთრი დასუსტების) ადვოკატირება გაუწიოს საკუთარ ეროვნულ ინტერესებს და ქვეყანაში ნამდვილი, გრძელვადიანი და მდგრადი მშვიდობის გარანტიების შექმნას;

- ევროკავშირის მხარდაჭერით, აუცილებელია, რომ შეიქმნას პირდაპირი და რეგულარული დიალოგის პლატფორმები საქართველოს ხელისუფლებასა

და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონების დე ფაქტო ადმინისტრაციებს შორის. ამ პლატფორმის მიზანი იქნება მოლაპარაკებებისა და რეაგირების წარმართვა კონფლიქტით დაზარალებული ყველა ჯგუფის (დევნილები, გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობა, გალისა და ახალგორის მოსახლეობა, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოსახლეობა) უსაფრთხოებისა და უფლებების დაცვის ხელშესაწყობად.

შეჯამება:

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამები კონფლიქტების მოგვარებისა და სამშვიდობო პოლიტიკის წარმოების თვალსაზრისით გარკვეულ გაუმჯობესებასა და მეტ კომპლექსურობას იძენს. ეს პროცესი, ერთი მხრივ, პროვოცირებულია მმართველი ხელისუფლების მიერ სამშვიდობო პოლიტიკის ინსტრუმენტალიზაციით და ოპოზიციური პარტიებისთვის განსხვავებული პოლიტიკური ხედვების არსებობის აუცილებლობით, ხოლო მეორე მხრივ, მიმდინარე პოლიტიკური კრიზისებითა და ახალი გეოპოლიტიკური შესაძლებლობებით, რომლებიც ქვეყანას მომავალში შესაძლოა მიეცეს. ამ ტენდენციას მოწმობს ის ფაქტიც, რომ რამდენიმე პოლიტიკური პარტიის საარჩევნო პროგრამებში უკვე გამოჩნდა საკითხები, რომლებიც ეხება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის ადამიანის უფლებებისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

პარტიების პროგრამებიდან ჩანს, რომ მათ გააზრებული აქვთ იზოლაციური პოლიტიკისა და გაუცხოების პრობლემები, რომლებიც მნიშვნელოვნად ართულებს მშვიდობის მშენებლობის პროცესს. ისინი ცდილობენ იმუშაონ ახალ პოლიტიკურ ალტერნატივებზე და განიხილონ კომპრომისული ნაბიჯები. იზოლაციური პოლიტიკის შემსუბუქების კუთხით, ოპოზიციური პარტიები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ გადაადგილების თავისუფლებასა და თავისუფალი ვაჭრობის მნიშვნელობას, რომელთა განხორციელებასაც ისინი ევროკავშირთან ინტეგრაციის ჩარჩოში ხედავენ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ყველა პოლიტიკური პარტია ხაზს უსვამს კონფლიქტების მოგვარების მშვიდობიანი გზების მნიშვნელობას, რაც აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობისთვის დროული და აუცილებელი გზავნილია.

ამასთან, აშკარაა, რომ ოპოზიციურმა პარტიებმა გააცნობიერეს ევროკავშირის როლი და პოტენციალი სამშვიდობო პოლიტიკის კუთხით და მისასალმებელია, რომ ისინი სამშვიდობო პოლიტიკის განხორციელებას სწორედ ევროკავშირის ჩარჩოში განიხილავენ. ამ კონტექსტში, ისინი რუსული ალტერნატივის საპირისპიროდ, კონფლიქტის რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას სთავაზობენ ევროპას, როგორც განვითარების, განათლებისა და დასაქმების მეტი შესაძლებლობების წყაროს. თუმცა, პარტიებს არ აქვთ დეტალური ხედვა, თუ როგორ შეიძლება ევროკავშირის ჩართულობა კონფლიქტის რეგიონებში, მიმდინარე ანექსიური პროცესების ზრდის ფონზე. ამასთან, არ არსებობს სტრატეგიული ხედვა და ცვლილების თეორია, თუ რა სახის ინსტიტუციური და პოლიტიკური მოწყობა უნდა შეიცვალოს, რა უნდა იყოს დეოკუპაციის სტრატეგიისა და სამშვიდობო პოლიტიკის საფუძველი.

აღსანიშნავია, რომ პარტიების მიერ შემოთავაზებული ხედვები, რომელიც კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის ყოფის შემსუბუქებაზეა მიმართული, უფრო მეტად ჯდება კონფლიქტების ტრანსფორმაციის პარადიგმაში, თუმცა არ მოიცავს კონფლიქტების

ძირითადი მიზეზების სიღრმისეულ გააზრებას და ამ კუთხით სხვადასხვა განზომილებების პოლიტიკის შემუშავებას.

ასევე, პარტიებს არ აქვთ შემუშავებული პოლიტიკური დიალოგის ფორმატი კონფლიქტის რეგიონებთან და რუსეთთან ურთიერთობისთვის, არც ჟენევის დისკუსიების ფორმატის შენარჩუნების, მისი განახლების ან ალტერნატიული ფორმატების შექმნის საკითხები.

შესამჩნევია, რომ ოპოზიციურმა პარტიებმა (მაგ. "გახარია საქართველოსთვის", "ძლიერი საქართველო") გააცნობიერეს ახალი სახელმწიფო სტრატეგიისა და ხედვის შემუშავების აუცილებლობა და აღსანიშნავია, რომ ისინი ამ საკითხთან დაკავშირებით ეროვნული კონსენსუსის საჭიროებას ხედავენ.

მიუხედავად ამისა, ოპოზიციური პარტიების უმრავლესობას არ აქვს სათანადოდ ჩამოყალიბებული ხედვები დევნილთა პრობლემებთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგია 2007 წლიდან არ განახლებულა და დოკუმენტი სათანადოდ ვერ აღიარებს დევნილთა ინტეგრაციისა და პოლიტიკური მონაწილეობის საკითხებს.

რაც შეეხება მმართველ პარტიას, ის მის პროგრამაში კვლავ არ ხედავს კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის ნამდვილ საჭიროებებს და არც სამშვიდობო პოლიტიკის განვითარების ახალი კონკრეტული ხედვა გააჩნია. „ქართული ოცნების“ სამშვიდობო პოლიტიკა, მათი პროგრამის მიხედვით, შემოიფარგლება არაღიარების პოლიტიკის მხარდაჭერითა და რუსეთთან ურთიერთობების დალაგების მიდგომით. თუმცა ამ მიდგომების არსი და კონკრეტული ნაბიჯები პროგრამაში არ არის განმარტებული. იმ შემთხვევაშიც კი თუ ქართული ოცნების ხელისუფლება სამშვიდობო პოლიტიკას ჩართულობის არსებული სტრატეგიის ჩარჩოში გააგრძელებს, ძალიან აშკარაა, რომ ის არასაკმარისი და მოძველებული მიდგომაა და ის არ პასუხობს არც რეგიონში შექნილ კრიზისებს და არც საქართველოსთვის ევროკავშირში გაწევრიანების ახალ და უმნიშვნელოვანეს შესაძლებლობებს. ხელისუფლების მხრიდან ანტიდასავლური პოლიტიკის გატარების პირობებში, კონფლიქტების მოგვარების მიზნით ევროპული შესაძლებლობების, მეთოდოლოგიებისა და მხარდაჭერის გამოყენება არაადეკვატურადაც კი გამოიყურება. სწორედ ამიტომ, ხელისუფლების რიტორიკა სამშვიდობო პოლიტიკის მიმართულებით პოპულისტური და ზედაპირულია. მისი პროგრამებისა და განცხადებების ანალიზი მიუთითებს იმაზე, რომ წინასაარჩევნო კამპანიაში გამოხატული ზოგადი გზავნილების მიღმა არ არსებობს პრაქტიკული ხედვა სამშვიდობო პოლიტიკაში ახალი დინამიკის შექმნისთვის.